ოთხშაბათი, 18 აპრილი 1907 წ.

10

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი — № 86

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე. რედაქციის და კანტორის ადრესი: გლისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“.

ელისაბედ პავლეს ასული, ანნა პეტრეს ასული და გიორგი ლევანის ძე კურტოშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—საყვარელ ქმრის, მეორე—მამამთილის და მესამე—მამის

**ლევან ივანეს ძის კურტოშვილისას.**

გამოსვენება საკუთარ სახლიდან, ტფილისის ქუჩა, კათოლიკეთა ეკკლესიაში. 18 აპრილს დილის 9 საათზე. დაკრძალვა იმავე დღეს. (2—კვ.—2)

**ნამდვილი კახური ღვინო**




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—52)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—33)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—93

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**ვანიშა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—6)

ექიმი
**კ. ი. ბძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწუღლოვისა. (25—13)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, სახლი მდივნისა. (34)

**სამკურნალო**
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინგი** — შინაგანი სნეულობანი. კვირას 3—4 ს.
**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. და კვირას 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**როზმაინსკი**—საბავშვო, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.
**აპპიხოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.
**ნოკიცკი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.
**ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
**თეთრამე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.
**ბოყოვსკი** — შინაგანი წამლობა ზთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.
**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**გორონცოვა.**—მასაჟი, ყოველ დღე 11—5 ს.
**ნევშთროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 1—3 ს.
**პივარსკი** / **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—78)

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
კიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

**ღვინით ვაჭრობა**
**ხაშმის მევენახე გლეხთა ამხანაგობა**
**გლეხის ნაბიჯი**
ყველას ხელ მისაწვდენ ფასებში ტფილისში მიეგზავნება ღვინო ჩვენივე დროგით. კახეთის ქუჩა სახლი, № 1. (6—43—5)

**დასუსტებულ, ავადმყოფობისაგან განკურნებულ და კარგი ღვინის მოყვარულთა საყურადღებოდ.**

უკანასკნელ ხანებში ბევრი ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის ღვინის“ სახელით. მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქუთაისში არსებობს ერთად-ერთი საწყობი ნამდვილ „**ყიფიანის ღვინისა**“, რომელიც ეკუთვნის ლუარსაბ ლუარსაბის ძე ყიფიანს. ყიფიანის ღვინო, რომელიც ს. ხვანჭკარაში მოდის, განსაკუთრებით კარგი თვისებისაა და იმის მსგავსი ღვინო რაჭაში არსად მოდის. ხვანჭკარელი მემამულენი თავადნი დიმიტრი, დათა და მანუჩარ ყიფიანები მთელს თავიანთ მოსავალს ჩვენს საწყობს აძლევენ და სხვაგან ერთ ბოთლსაც არა ჰყიდიან და ამიტომ თუ ვინმე ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის“ სახელით, იგი ხვანჭკარული არ არის. ლ. ლ. ყიფიანის ღვინო იყიდება დაბეჭდილი და წითელ ეტიკეტის ქვეშ აღნიშნულია ფირმის სახელი და წარწერა: „სოფელი ხვანჭკარა“. საწყობი მოთავსებულია ქუთაისის ქალაქის სახლში, ტფილისის ქუჩაზე და ქალაქის აფთიაქს მახლობლად. მსურველთ ღვინო ეგზავნებათ დაუყონებლივ.

ჩვენი ღვინო ყურძნის წმინდა წვენისაა და ყოვლად უზადოა და თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ იგი ბუნებრივი არ არის, მზად ვართ გადავიხადოთ **ჯარიმა 2000 მანეთი.** პრეისკურანტს უფასოდ ვუგზავნით. (10—ყ.ფ.—6)

**ქუთაისის ვაჟთა**
**გიმნაზია**
აცხადებს, რომ 1-ლ კლასში მისაღები ეგზამენები მოსამზადებელ კლასის მოსწავლეთათვის და გარეშე მსურველთათვის მოხდება ამა წლის 23, 24 და 26 მაისს, ხოლო იმათ გამოცდა, ვისაც სწავლაგანათლება შინ მიუღიათ და ვისაც სხვა და სხვა კლასის კურსზე სურთ დაიჭირონ ეგზამენი მოწმობის მისაღებად, მოხდება ამა წლის 1-ლ ივნისიდან 15 ივნისამდე.

თხოვნები ეგზამენის დაჭერის ნებართვის შესახებ დაწესებულ დოკუმენტებთან ერთად მიიღება 12 მაისამდე (12 მაისსაც) ის თხოვნები, რომელსაც დოკუმენტები არ ახლდება, განხილული არ იქნება. (3—ნ.—2)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 6—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—85)

**წერა-კითხვის საზოგადოების**
წიგნის მაღაზიაში
**ი ყ ი დ ე ბ ა**
დამშეულ მეგრელთა სასარგებლოდ
**„НЕТРОНУТЫЙ УГОЛОКЪ“**
Грузинскіе разсказы
**Д. Ведребисели** (Д. К. Маліевой)
ფასი **ერთი** მანეთი (10—ნ.—8)

**მალოროსები**
**ცირკის შენობა მმ. ნიკიტინებისა**
**სააღდგომო რეპერტუარი**
ორშაბათს 23 აპრილს „**ციგანკა აზა**“ 5 მ. დასასრულ „ვეჩერნიცი“. მონაწილეობს მთელი დასი. სამშაბ. 24 აპრ. **ორი წარმოდგენა**: დილით «**პილიპ მუზიკა**» 5 მ. საღამოთი: «**ოი ნე როდი გრიციუ, ტაი ნა ვეჩერიცი**», 5 მ. დასასრულ ვოდევილი. ოთხ. 25. „**ზმა რა**“ 5 მ. დასასრულ **დივერტისმენტი**. მონაწ. იღებს ვაჟთა და ქალთა ხორო და მოცეკვავენი. ხუთ. 26 აპრ. **ორი პიესა ერთ საღამოს**, მალარ. ოპერა და კომედია: 1. «**ზაპოროჟეც ზა დუნაემ**» და 2. „**შელმეიკო დენშჩიკი**“. პარ. 27 აპრ. «**ნეზნაჩნე კოზანია**» და «**ბუვალშჩინა**», შაბ- 28 აპრ. «**ნიჩ ზიდ ივანა კუპალა**»; დასასრულ «**კუმ მიროშნიკ**». კვირას 29 აპრ. ორი წარმოდგენა: დილით «**სოროჩინსკი იარმაროკ**», საღამოთი—ისტ. პიესა „**მაზეპა**“, დასასრულ ვოდევილი.

ბილეთები ყველა გამოცხადებულ წარმოდგენაზე გაიყიდება თეატრის კასსაში 19 აპრილს დილის 11 საათიდან.

**ცირკში რემონტია. მზადდება ახალი დეკორაციები. დაწვრილებით აფიშებში.**

## ტფილისი, 18 აპრილი

სოხუმის ოლქიდან კალმით აუწერელს უბედურებას იუწყებიან. ეს ნაზი და სამოთხისებური მხარე ისეთი ტლანქი და ჯოჯოხეთური უსამართლობის ასპარეზად ჰხდება, რომლის მსგავსს ჩვენი დროის ქირსა და ვაებას შეჩვეული ფანტაზიაც კი ძნელად წარმოიდგენს. რამდენიმე ათასს კომლს მეგრელს, სამეგრელოდან სოხუმის ოლქში ზღვის სანაპიროზე გადმოსახლებულს და აქ უდაბურ ადგილების თვალწარმტაც წალკოტებად გადამქცევს, დღეს სოხუმის ოლქის ფეოდალები წარბ შეუხრელად უბრძანებენ: აიყარეთ თქვენი გუდა ნაბადი, აჰყარეთ თქვენი სახლები, მიანებეთ თავი თქვენის ოფლით და შრომით განოყიერებულს მიწას, აიკრიფენით დედა-ბუდიანად და გასწით, საითაც გენებოდ, მხოლოდ აქ კი თქვენი ხსენება აღარ იყოსო.

დღემდე მეგრელების ემიგრაციას სოხუმის ოლქში ერთი დაუძინებელი და დაუძლეველი მტერი ჰყავდა: ჩვენი მთავრობის პოლიტიკა, რომელმაც უზენაეს სახელმწიფოებრივ მოსაზრებათაგან დაასკვნა, რომ სოხუმის ოლქში მხოლოდ რუსები უნდა გადმოსახლდნენ და ქართველებს კი აქ მობინადრობა უნდა აეკრძალოთო. დიდძალი ადგილები აფხაზებისა, მთავრობისაგან სახელმწიფო საკუთრებად გამოცხადებულნი ამ პოლიტიკის წყალობით, სულერთიანად შეკრული იყვნენ და დღესაც შეკრული არიან ქართველ ემიგრანტებისთვის. შორეულ ადგილებიდან გადმოსახლებულ რუსებს, გერმანელებს, ლატიშებს და სხვებს მთავრობა ყოველნაირ დახმარებას უწევს ამ ადგილებში ფეხის მოსამაგრებლად: აძლევს უხვის ხელით მიწებს, ანთავისუფლებს რამდენისამე წლით სახელმწიფო გადასახადებისაგან, უხსნის კრედიტს და სხვა. ქართველები კი, რომელნიც ისტორიულ აუცილებლობის ძალით ეტანებიან ამ ქვეყანას, სახელმწიფო მიწაზე ფეხსაც ვერ შესდგამენ: ეს უზენაეს სახელმწიფოებრივ განზრახულებათა საწინაამდეგო მოვლენად არის მიჩნეული. ეხლა ამ პოლიტიკურ დაბრკოლებას კიდევ ახალი დაბრკოლება მიემატა.

სახელმწიფოსაგან ათვალწუნებულ ქართველ ემიგრანტებს საერთოდ არც ერთის მხრისაკენ არა აქვთ გზა გახსნილი. ჩვენ თითქმის იმასაც კი გვაყვედრიან, რომ მამა-პაპეულ ადგილებზე ვცხოვრობთ და აქაც კი ნიადაგის გამოსაცლელად ხშირად შორიდან საგანგებოდ უცხო ტომის კოლონისტები მოჰყავთ... მიწა კი ცოტაა, ისე ცოტა, რომ მთელის ქუთაისის მცხოვრებლების სამ მეხუთედს, მაგალითად, შიმშილით აქამდე სული ამოჰხდებოდა, სხვებისაგან რომ არ ეღო მიწა იჯარით.

ყველაფერში დაჩაგრულს და ყველასაგან ათვალწუნებულ ქართველ ადამიანს მიწის სიმცირის წინააღმდეგ ყველგან მხოლოდ ერთი მალამო შეუძლიან იხმაროს: იჯარა ანუ არენდა. აი, ამ იჯარას მიჰმართეს სამეგრელოს ემიგრანტებმაც სოხუმის ოლქში. შინ უმიწაწყლობით შეწუხებულებს სხვა რა გზა ჰქონდათ იმის მეტი, რომ სოხუმის კერძო მესაკუთრეებისაგან არ აეღოთ იჯარით მიწა და ასე ნათხოვრად არ მოეკალათავათ სხვის ადგილზე სიცოცხლის შესარჩენად, პურის საშოვნელად? სოხუმის ფეოდალებს, უმთავრესად თავ. შერვაშიძეებს, მეგრელების მოიჯარადრობა პირველ ხანებში ძალიან ქყუაში დაუჯდათ. ამ მემამულეების თვალ-გადუწვდენელი მთაგრეხილები წინად არაფერს შემოსავალს არ იძლეოდნენ: ან კი რა შემოსავალს მოიტანდა მიწა, რომელზედაც არავინ არა მუშაობდა. მეგრელების ოფლმა ეს მიწები ოქროდ აქცია და ფეოდალებსაც თანდათან მადა გაეხსნათ. მემამულეებმა იჯარის ფასს თანდათან აუწიეს; რაც უფრო მეტად იმართებოდა წელში მოიჯარადრე და მაშასადამე, რაც უფრო მჭიდრო ეკონომიური კავშირი მყარდებოდა მოიჯარადრისა და საიჯარო მიწის შუა, რაც უფრო მტკიცე ბინადრობას იჩენდა მოიჯარადრე იჯარით აღებულს მიწაზე, მით უფრო გაბედულად უჭერდა მას ყელში საბელს მიწის პატრონი, მით უფრო მაღლა-მაღლა სწევდა ის საიჯარო ფასებს, მით უფრო გაბედულად ბატონობდა მიწის პატრონი მიწის მუშაზე. ხუთი-ექვსი წლის წინად, მაგ., იჯარა ისე გაიზარდა, რომ მარტო ერთს სოფელს თავად შერვაშიძის სასარგებლოდ 50 ათასი მანეთი საიჯარო ფული ჰქონდა შეწერილი.

მაგრამ სოხუმელ ფეოდალების მადა ამანაც ვერ გააძღო და მათმა მოურავებმა შემოიღეს განსაკუთრებითი გადასახადი საქონელზე, შინაურ ცხოველებზე და ფრინველებზე. ექსპლოატაცია დღითი დღე იზრდებოდა და ბოლოს, რა თქმა უნდა, მშრომელ ხალხის ბუნებრივი წინააღმდეგობა გამოიწვია. დაიწყო ბრძოლა მიწის პატრონებსა და მიწის მუშათა შორის. ფეოდალებმა თავის მთავარ ყავარჯნათ ადგილობრივი ადმინისტრაცია გაიხადეს და ეხლა ძლევამოსილნი ასეთ ულტიმატუმს უგზავნიან მოიჯარადრეებს: ან ძირიან ბუდიანად აყრა საიჯარო ადგილებიდან და ან ფეოდალებისაგან გამოცხადებულ იჯარის პირობებზე დათანხმება. ეს ისეთივე ულტიმატუმია, როგორც ზღაპრული ჯვარედინა გზა: მარჯვნივ წახვალ—სიკვდილს ჰნახავ, და მარცხნივ წახვალ—მაინც სიკვდილს ჰნახავო.

ამ საშინელ ამბებს იწერებიან სოხუმის ოლქიდან და დასძენენ: განა საზოგადოება მოვალე არ არის ხმა აიმაღლოს და უმწეო მიწის მუშებს გამოესარჩლოსო. დიაღ, მოვალეა, მაგრამ ხმის ამაღლებით საქმეა გაკეთდეს რამე. მიწის მუშის და მიწის პატრონის ისტორიულს ბრძოლას თვით ეს ბრძოლა დააგვირგვინებს მუშების სასარგებლოდ და არა საზოგადოების სენტიმენტალური თანაგრძნობა.

## დიქტატურა

დიქტატურა... დიდი ხანია ეს სიტყვა შავი ყორანივით თავს დასტრიალებს რუსეთის მცხოვრებლებს. ყოველთვის, როდესაც კი განმათავისუფლებელი მოძრაობა ძლიერს ხასიათს მიიღებს, ყოველთვის, როდესაც კი თვითმპყრობელი ბიუროკრატია იგრძნობს ხოლმე თავის ბატონობის საძირკვლის შერყევას, მაშინვე იდუმალი ბნელი ძალები დიქტატურაზე ალაპარაკდებიან ხოლმე.

თუმცა ყველა ის, რაც კი ამ ჟამად რუსეთში ხდება, დიქტატურის შინაარს შეადგენს, მაგრამ ძველი წეს-წყობილების დამცველები მაინც კიდევ დიქტატურის ოფიციალურად გამოცხადებას თხოულობენ და დარწმუნებულნი არიან, რომ რეპრესიების ესეთი უკიდურესი გაძლიერება სამუდამოდ ბოლოს მოუღებს განმათავისუფლებელ მოძრაობას და რუსეთის ცხოვრებასაც ისევ ძველებურ კალაპოტში ჩააყენებს.

შავ-რაზმელები სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნას თხოულობენ. იმის ნიშნებიც არის, რომ მთავრობა მზად არის თავიდან მოიშოროს სათათბირო, რომელიც უსიამოვნოდ ეჩხირება თვალში და რომელიც ყოველ მის მოქმედებას კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს.

შავ-რაზმელები სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნით არა კმაყოფილდებიან და ეხლა დიქტატურის გამოცხადებასაც თხოულობენ. შავ-რაზმელთა იდეოლოგს, „მოსკ. ვედ.“ რედაქტორს, ცნობილს ვ. გრინგმუტს „რუსთა საკრებულოში“ წაუკითხავს მოხსენება დიქტატურის გამოცხადების შესახებ. კრებას დასწრებია: მიტროპოლიტი ვლადიმირი, სახელმწიფო საბჭოს წევრი ეპის. ნიკონი, სახელმწიფო სათათბიროს წევრი ეპის. ევლოგი, სახელმწიფო საბჭოსა და სათათბიროს მრავალი მემარჯვენე წევრი და სამხედრო პირები. ერთის სიტყვით, კრებას დასწრებია ისეთი საზოგადოება, რომელსაც ხალხის ბედ-იღბალი სრულიადაც არ აინტერესებს და ყოველ ღონისძიებასა ხმარობს, რომ რუსეთში ისევ ძველებური წეს-წყობილება გაამეფოს. ამავე საგანზე, ესე იგი დიქტატურაზე იმავე საკრებულოში რამდენისამე დღის შემდეგ მოხსენება წაუკითხია მეორე შავ-რაზმელს კრუშევანს..

ტყუილად გეშინიანთ დიქტატურის გამოცხადებისაო,—უთქვამს შავ-რაზმელ გრინგმუტს,—მეფის ერთგულებს დიქტატურისა არ უნდა ეშინოდეთ. გამოცხადდება თუ არა დიქტატურა, განმათავისუფლებელ მოძრაობის ყველა მიკრობები გაჰქრებიან, სამაგიეროდ მეფის ერთგული მსახურები დარჩებიანო. გრინგმუტი მტკიცედ და გადაჭრით აღიარებს, დღეს არა ხვალ დიქტატურის საკითხს თვითონ ცხოვრება წამოაყენებს და ამიტომ მის დასახვედრად ეხლავე უნდა მოვემზადოთო.

ეს ყვავის ჩხავილი საშინელ დღეების მომასწავებელია. ბნელეთის ძალები კავშირდებიან, თავს დაგვჩხავიან და წალეკვას გვპირდებიან. სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნა... დიქტატურა... და ამის შემდეგ საშინელი სისხლის ღვრა, შურის ძიება გამეფებულ ბნელ ძალებისა,—აი, შეიძლება, რა მოელის რუსეთს. რა თქმა უნდა, გამარჯვება ბოლოს ხალხს დარჩება, მაგრამ სისხლს, უზომო და უანგარო სისხლს მაინც დაღვრიან ბნელეთის ძალები... ა. ჯ.

## ბათუმის შეტაკების გამო

11 აპრილს ბათუმში მომხდარის მუშათა შეტაკების გამო მომხდარა პარტიების წარმომადგენელთა კრება, რომელსაც გამოუცია შემდეგი დადგენილებანი:

„ბათუმის ყველა რევოლიუციონურ პარტიის წარმომადგენელნი უცხადებენ ამხანაგ მუშებს, რომ დღეიდან, ე. ი. 11 აპრილიდან, შესდგა პარტიათა კონფერენცია, რომელზედაც განიხილავენ მუშათა შორის მომხდარ საზიზღარ შეტაკების შესახებ საკითხებს და იმ ზომე-

ებს, რომლების საშვალებითაც შესაძლებელი იქნება ახალ შეტაკებათა თავიდან აცილება. აცხადებს რა ამას, კონფერენცია სთხოვს ყველა მუშას, ეროვნებისა, პარტიისა და რწმენის განურჩევლად, ბოლო მოუღონ მტრულ დამოკიდებულებებს და მისცენ ერთმანეთს ძმობისა და ერთობის ხელი“.

ამ პროკლამაციას ხელს აწერენ: რუსეთის სოც.-დემოკრატიულ პარტიის ბათუმის კომიტეტი, სოციალისტ-ფედერალისტთა ბათუმის კომიტეტი, რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერთა ბათუმის კომიტეტი, ჰინჩაკის პარტიის ბათუმის ადმინისტრაცია, სომ. რევ. „დაშნაკცუთიუნ“-ის ბათუმის კომიტეტი, სომეხთა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის ბათუმის ჯგუფი, მაჰმადიანთა რევოლუციონური ორგანიზაცია; უსაქმოდ დარჩენილ მუშათა კომისია.

11 აპრილს მომხდარ პარტიათა კონფერენციის დადგენილებანი:

„კონფერენცია აცხადებს ამხანაგ-მუშების საყურადღებოდ, რომ გემ „ქრისტეფორის“ დაცლის საკითხი კონფერენციამ გადასწყვიტა შემდეგ ნაირად: კონფერენცია ირჩევს სამს პირს, რომელთაც უმუშევართა ოთხივე ეროვნების ოთხი წარმომადგენლის დადგენილების თანახმად, უნდა გამოიყვანონ ოთხივე ეროვნებიდან მუშათა თანასწორი რიცხვი გემის ტვირთის გადმოსაზიდად.“

„კონფერენცია აცხადებს ყველა ამხანაგისა და მოქალაქის საყურადღებოდ, რომ სანავთ-სადგურო მუშაობის ნიადაგზე მომხდარი ყოველგვარი მკვლელობა ჩაითვლება ხულიგანურ საქმედ და მიღებულ იქმნება ყოველგვარი ზომები ამგვარ ხულიგანთა და პროვოკატორთა წინააღმდეგ.

## სათათბირო და საბჭო

(სააგენტოს დეპეშები)

**პეტერბურგი.** ტავრიდის სასახლის კარებთან გაკრულია განცხადება; 16 აპრილს მთელი დღე სხდომა დახურული იქნებაო. სხდომა 8 საათს და 10 წუთზე გათავდა და 17 აპრილს დილის 11 საათზე ისევ განახლდება. ამ სხდომაზე სათათბირომ უნდა განიხილოს ის, თუ 1907 წლის თვის რამდენი ჯარის კაცი უნდა იქნას გაყვანილი.

საფინანსო კომისიის თავმჯდომარედ, კუტლერის ნაცვლად, რომელმაც უარი განაცხადა, აირჩიეს პოლონურ კოლოს წევრი ჟუკოვსკი.

(გაზეთებიდან)

**1 კანონ-პროექტი პროფესიონალურ კავშირების შესახებ.** სოციალისტ-რევოლიუციონერთა სათათბიროს ჯგუფის კომისიამ შეადგინა კანონ-პროექტი პროფესიონალურ კავშირების შესახებ: მოგვყავს პროექტი სიტყვებით:

სახელმწიფო, საზოგადოებრივ ან კერძო საქმეებზე მომუშავენი, განურჩევლად სქესისა, სარწმუნოებისა, ეროვნებისა და იმისა, თუ რომელ სახელმწიფოს ქვეშევრდომათ ითვლებიან იგინი, ადგენენ პროფესიონალურ კავშირებს თავის ეკონომიურ და მათთან დაკავშირებულ სოციალ-პოლიტიკურ ინტერესების დასაცველად და განსავითარებლად.

2. პროფესიონალურ კავშირები უნდა შესდგეს სრულიად თავისუფლად, ე. ი. არ უნდა არსებობდეს არავითარი განცხადებები, რეგისტრაცია და სხვა ამნაირი ფორმალური რამ.

3. ასევე თავისუფლად უნდა შესდგეს ხოლმე ყოველგვარი შეერთება ამნაირის კავშირებისა,—როგორც ადგილობრივისა (საოლქო, ეროვნული და სხვ.), ისე ხელობის სხვა და სხვა დარგთა.

4. პროფესიონალურ კავშირებსა და ამ კავშირების კავშირს აქვთ მოძრავი და უძრავი ქონება, აგროვებენ საწევრო გადასახადებს, ადგენენ კაპიტალებს, თავის სურვილისამებრ განაგებენ ამ კაპიტალებით, აქვთ სხვა და სხვანაირი კასსები: ურთიერთ დასახმარებელი, უმუშაოთ დარჩენილთა დასახმარებელი, გაფიცვისა, შრომის საშუამავლო ბიუროები და სხვ.

5. პროფესიონალური კავშირები და ამ კავშირების კავშირი არავითარ პასუხის-მგებლობას არა სწევენ არც სისხლის სამართლის წინაშე და არც ქონებრივად იმ მოქმედებისთვის, რომელიც მათს კოლლექტიურ ინტერესების დაცვისკენ არის მიმართული.

6. პროფესიონალური კავშირები და კავშირების კავშირი გზავნიან თავიანთ დელეგატებს გადამწყვეტის ხმის უფლებით შრომის სხვა და სხვა მფარველ ორგანოებში, რომელსაც აზრათ ექნება სამუშაო ქირის საქმის, ან კიდევ სხვა და სხვა დაწესებულებათა შინაგან წეს-წყობილების მოწეს-რიგება. (ასეთებად უნდა ჩაითვალოს საფაბრიკო ინსპექციები, სასანიტარო კომისიები, სახელმწიფო, საზოგადოებრივი ან კიდევ კერძო საპრეწველო საქმეთა გამგეობანი და სხვა).

7. ის პირები, ან დაწესებულებანი, როგორც კერძო, ისე სახელმწიფო და საზოგადოებრივი, რომლებიც პროფესიონალურ კავშირების თავისუფალ მოქმედებას წინ გადაეღობებიან, სისხლის სამართალში უნდა იქმნან მიცემულნი.

## ახალი ამბავი

—:—

✦ **ლანჩხუთის შესახებ.** დეპუტატ წერეთლის შეკითხვის გამო, როგორც „რუსკ. სლ.“ ქუთაისიდან ატყობინებენ, გენერალ-გუბერნატორს უცნობებია ნამესტნიკისთვის, რომ სოფელ ლანჩხუთს მხოლოდ ასი თუმანი ჯარიმა დაედო და არავითარი დამსჯელი რაზმი იქ არ გამიგზავნიაო.

✦ **სოხუმის ქალაქის თვითმართველობის გაუქმება.** „ზაქ. გოლ.“ სიტყვით, როგორც ამბობენ, განზრახვა აქვთ თურმე გააუქმონ ან ძალზე შეზღუდონ სოხუმის ქალაქს თვით-მართველობა.

✦ **კიდევ მკვლელობა ბათუმში.** 16 აპრილს საღამოთი ბათუმში, მიხეილის ქუჩაზე, მოუკლავთ აჭარელთა არტელის ორგანიზატორი და სახლის პატრონი ჰასან შოში-ოღლი. დაუჭრიათ მისი დარაჯი. მსროლელნი მიმალულან.

✦ **სალდათის მოკვლა.** მიხაილოვოდან გვწერენ: 15 თებერვალს საღამოს შვიდ საათზე, ხაშურის ბაზარში ჩხუბის დროს მიხაილოვის დეპოს მუშამ კ. ნავრუზაშვილმა სასიკვდილოდ დასჭრა სადგურის ბატალიონის უფროსი უნტერ-აფიცერი სუჟინი. დაჭრილი სურამის სამხედრო გოსპიტალში გაგზავნეს, მაგრამ იგი იმავ ღამეს გარდაიცვალა. ნავრუზაშვილი შეიპყრეს.

✦ **ტფ. ვენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ვიატკის გუბერნიაში სამი წლით იგზავნება ა. მინოსიანცი, რომელსაც რევოლვერი უნახეს. ტფილისის გუბერნიიდან ეტაპით იგზავნებიან გ. მინაევი, მ. უსუფ-ოღლი და იბრაგიმ აბდულოღლი. დააჯარიმეს 15 მან. სახლის პატრონი აჯალოვი.

✦ **ხმოსანმა ქალაქის ადგილი მიისაკუთრა.** ტფ. ქალაქის გამგეობამ საჩივარი აღსძრა ხმოსნად ნამყოფის იარალოვის წინააღმდეგ, რომელსაც ამ რამდენისამე ხნის წინად ქალაქის ადგილი მიუთვისებია.

✦ **ცვლილებანი.** ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, მოახდინოს ცვლილებები ქალაქის გამგეობის საიურისკონსულტო განყოფილებაში. ამ დადგენილებით, იქნება ერთი იურისკონსულტი თანაშემწითურთ, ხოლო მეორე თანაშემწის თანამდებობა გაუქმებული იქნება.

✦ **დეპუტატის ჩამოსვლა.** ამ დღეებში პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვიდა ს.ხ. სათათბიროს წევრი ყარსის ოლქიდან ამორჩეული ბ-ნი ათაბეკოვი; ათაბეკოვს აზრადა აქვს შეჰკრიბოს მასალა კავკასიაში ერობათა შემოღების შესახებ.

✦ **მინდვრის თაგვი.** ტფ. მაზრის ნინო წმინდასა და წავკისის ნათესობას დიდ ძალი თაგვი გასჩენია თურმე.

✦ **ქალაქის საბჭო.** ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნები სისტემატიურად გ ურბიან საქმეს. ძლივს გაჭირვებით იკრიბებიან და მაშინაც უმნიშვნელო საქმეებზე ლაპარაკით ერთობიან. 16 აპრილის სხდომა დაიწყო ხმ. ბაბოვის შეკითხვით: როგორც გაზეთში აღნიშნულისიებ-ს გადამთვარიელებელ კომისიას ასობით გამოუტოვებია ამომრჩეველნი, ამის გამო ორის კვირით უნდა გადაიდოს არჩევნები; გაგვაგებინოს გამგეობამ საქმე რაშიაო. თავმჯდომარემ აცნობა საბჭოს, რომ გამოტოვებულებს უფლება არა აქვთ არჩევნებში მონაწილეობა მიიღონო. ილაპარაკა თავ. ა. მ. არგუთინსკიმ სიების შემდგენელთა შესახებ. სთქვა, მომხრე ვარ საყოველთაო საარჩევნო უფლებისა, მაგრამ რადგან ეს უფლება ჯერ არა გვაქვს, საქალაქო დებულება უნდა დავიცვათ. სიებიდან 100 კიარა, 2500 კაცი უნდა გამორიცხოს, როგორც უფლების არ მქონე. ესენი არიან ტფილისელი მედუქნენი. უფლების გაფართოება თუ გინდათ, შეიტანეთ სიებში ინტელიგენცია, მუშები და არა მედუქნეებიო. ხმ. ბაბოვი არ დაეთანხმა თავ არღუთინსკის. მან დასასრულ მოითხოვა არჩევნების გადადება შემოდგომამდე. არღუთინსკისვე პასუხი გასცა ჭრელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ თუმცა ხმის უფლება აქვთ იმათ, ვისაც აულია სამრეწველო მოწმობა მეხუთე ხარისხამდე, მაგრამ როგორც საარჩევნო პრაქტიკა გვიჩვენებს 1892 წლიდან არჩევნებში ისეთნი იღებენ მონაწილეობას, რომელთაც გილდის მოწმობები არა აქვთო. გაიბა კამათი. ბოლოს თავმჯდომარემ განაცხადა, სიების შედგენა საბჭოს საქმე არ არისო და დაუმატა, ყველა, ვისაც უფლება არა აქვს, გამოვრიცხავთ სიებიდანაო. შემდეგ, საბჭომ დაავალა გამგეობას შუამდგომლობა აღძრას, რომ ტფილისში შემოტანილ საქონელზე დაწესდეს გადასახადი. საბჭომ ვერის ხიდის მოიჯარადრეს, არ ვიცით, რა მოსაზრებით, ჯარა 2500 მანეთით შეუმცირა.

✦ **ა. ჩიჩინაძის დაკრძალვა.** გუშინ, 17 აპრილს, დაკრძალეს გვამი ახლად გარდაცვალებულ მასწავლებელ-ქალის ანნა ჩიჩინაძისა. ვერიდან განსვენებულის გვამი მიასვენეს ქაშვეთის ეკლესიაში, სადაც გადახდილ იქმნა წირვა და პანაშვიდი, შემდეგ კუკიის სასაფლაოზე დაკრძალეს. დასაფლავებას დაესწრნენ მასწავლებელნი, განსვენებულის მოსწავლენი, ქალაქის თავი, სასწავლებელთა გამგე კომისიის თავმჯდომარე და წევრნი, ზოგიერთი ხმოსნები და სხვანი.

✦ **ახალი წიგნი** დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა ახალი წიგნი მ. ჯანაშვილისა „ნაშრომი“, რომელშიაც, სხვათა შორის, მოთავსებულია ახალი „ქართლის ცხოვრება“ (გიორგი ბრწყინვალიდან გიორგი XI-მდე). მთელი შემოსავალი წიგნისა გადაეცემა ქართველთა საქველ-მოქმედო საზოგადოების გამგეობას.

✦ **ავადმყოფ არტისტთა სასარგებლოდ.** ავადმყოფ არტისტთა ვ. გუნიას და ი. კარგარეთლის სასარგებლოდ ჩვენმა რედაქციამ მიიღო: 12 მ. 80 კ. ივ ყაზარიშვილის მიერ შეგროვილი ბაკურიანის რკინის გზის შტოზედ მოსამსახურეთა და კერძო პირთა შორის. შემომწირველთა სია: ი. ხოტივარი 2 მ., დ. ყარსელიშვილი, დ. დათაძე, ვასილი ხუცესი, ნ. ნასიძე და ი. ყაზახიშვილი—თითო მანეთი; ი. ქიპაშვილი, დ. და ს. გელაძეები, დ. თუხარელი, პ. მაჭავარიანი, იაკობ ჩელენკო, ვ. ნემსაძე და ვ. კიკნაძე—ათ-ათი შაური; ალ. ლომიძე, ივ. ტაბატაძე, მ. ჩარკვიანი, კონ. მაჭავარიანი, ალ. გელაშვილი, ტ. ქურდაძე, ივ. ხაჩიძე, ბ. ნოზაძე და დ. მანჯავაძე—თითო აბაზი.

ენატაევსკიდან (ასტრახანის გუბერნია) ორივე არტისტისავე სასარგებლოდ მივიღეთ 6 მან. ეს ფული გამოგზავნეს ადმინისტრატიულად გაგზავნილმა ტუსაღებმა. აი შემომწირველნიც: ნ ჯაფარიძე 3 მ., ნ. გელისაშვილი და ს. ე. ხურციძე—თითო მანეთი; ნ. ასათიანი, გ. მაღლანია, დოლიძე და ბუცრიკაძე—ხუთ-ხუთი შაური.

კერძოდ ი. კარგარეთელის სასარგებლოდ მივიღეთ:

24 მ. 30 კ. ი. მ. ლომიძისაგან ფოთის ბუხტში შეგროვილი. შემომწირველნი: 5 მ. ი. ი. პიცკევიჩი; 3 მ. იოსებ მ. ლომიძე, ძმანი კედიევი, გ. ა. ჩესტისკოვი; 2 მ.—ოლღა ლომიძისა, თითო მანეთი—ესტატე სარია, ე გვეტი, ფ. ი. ბაგდანოვიჩი, რამოციკოპულო, დუტუ ხარბელია; ათ-ათი შაური—გიორ-

# ფელეტონი

არ ახალია,—ძველია

**ეკონომიური მატერიალიზმი.**

V

(გაგრძელება *)

ერთმა წარმომადგენელმა ეკონომიურ მატერიალიზმის დოქტრინისა კელლეს-კრაუსმა უმთავრესად იმაზედ დაამყარა თავისი მოსაზრებანი ამ დოქტრინის ერთად ერთ მეცნიერულ დოქტრინად აღიარებისათვის, რომ ჟამთა ვითარებაში მხოლოდ საწარმოო საშუალებანი იცვლებიან, სხვა კი თითქმის ყოველისფერი უცვლელი რჩება,—როგორც გარემოცული წრე ისე თვით ადამიანიცო. „ადამიანის ისტორია, ასეთი ჩქარი და სავსე შინაარსიანი, დაიწყო მაშინ, როდესაც საწარმოო და თავის დასაცველი იარაღების კეთება დაიწყეს სოციალურად; აქედან დაწყებული კი არც ადამიანის ბუნებრივ წრეს, არც ადამიანის რასის ფიზიკურ ორგანიზმს თითქმის არავითარი ცვლილება არ განუცდია. მხოლოდ საზოგადოება გამოიცვალა, მისი ისტორია მაშასადამე სრული შედეგია საწარმოო იარაღთა ცვალებადობისა“[1]).

საკვირველი ფილოსოფიაა ისტორიისა, მართალი მოგახსენოთ! ჯერ ერთი, თუ „ისტორიის დასაწყისს“ ეს კელლეს-კრაუსი იმასავე უწოდებს, რასაც პროფესსიონალური ისტორიკოსები,—ძლიერ შემცდარა, რადგანაც ბევრი ხალხის ისტორია სოციალური წარმოების ან ადრე ცნობილი და ან გვიან. არც ერთ ისტორიკოსს ფიქრადაც არ მოსვლია აქედან დაეწყოს ისტორია,—მისი გამოსავალი წერტილი დროს მხრით უძველესი რომელიმე დოკუმენტია, რომელიც როგორც კლდის კაცს შეეხება, შესაძლებელია, ისე განვითარებულ ასსირიელს. მეორე,—თუ „ისტორიის დასაწყისს“ იგი უწოდებს ადამიანის ორგანიზაციის ისტორიის დასაწყისს,—აქაც დიდი შეცდომა მოსვლია, რადგანაც ადამიანის ორგანიზაციის ცხოვრებამ მთელი პერიოდები განიცადა, სანამ „სოციალური წარმოება“ დაიწყებოდა. მაგრამ საქმე ამაში არ არის. რა მეცნიერული საბუთით ამბობს ავტორი, რომ ადამიანის ორგანიზაცია არ გამოცვლილაო? მაშ თუ არ გამოცვლილა, საიდანა ვხედავთ ამდენ რასათა, ამდენ აუარებელ გვართა და ტომთა ადამიანთა შორის? ან იქნებ ფიზიკურ გამოცვლას იგი იმას უწოდებს, რომ ადამიანის ორგანიზმი **მთლად, სრულიად უნდა** გამოცვლილიყო? მაგრამ თუ ეს ასე არ მოხდა, განა ეს იმას ამტკიცებს, რომ იგი თითქმის სრულიად არ გამოცვლილა?—შემდეგ, რა საბუთით ამბობს იგი, რომ წრე არ გამოცვლილაო? გამოიანგარიშა მან ადამიანის გაჩენის დასაბამი? თუ გამოიანგარიშა, მაშ რას ამბობს რაღაც უცნაურს, როდესაც დღეს სრულიად დამტკიცებულია, რომ ადამიანის გაჩენის შემდეგ წრეს აუარებელი და ღრმა ცვლილებები განუცდია დედამიწის ზედა-პირზედ და განიცდის დღესაც?—შემდეგ, თუ კი ეს მართალიც იყოს, რომელი მეცნიერი, რომელ მეცნიერებაში ამტკიცებს, რომ მუდმივ, უცვლელ მიზეზთ გავლენა არა ჰქონდეთ მოვლენებზედ?—ბოლოს, როგორი ლოღიკური დასკვნა, რომ რახან წრე და კაცი არ იცვლება, ამიტომ ამ უკანასკნელის ისტორია საწარმოო საშუალებათა ცვალებადობააო, რადგანაც მხოლოდ ეს უკანასკნელნი იცვლებიანო? პირ-იქით,—თვით საწარმოო საშუალებანი არიან შედეგნი იმ ტრანსფორმაციისა, რომელნიც განისაზღვრებიან **მუდმივ ცვალებად** წრისა და ადამიანის მრავალ-ფეროვან განწყობილებით. ავტორს ის მაინც არ უნდა დავიწყებოდა, რომ ადამიანი განიცდის ათასგვარ შეგუებას წრესთან სწორედ ამ უკანასკნელის ცვალებადობის გამო და ამიტომ თვითაც იცვლება და იცვლის ცხოვრების წესებს[2]). ან იქნებ მან დიდი განსხვავება დაინახა წრისა და ადამიანისა ერთის მხრით და მეორე მხრით საწარმოო საშუალებათა ცვალებადობაში,—რომ უკანასკნელი უფრო ადვილად და სწრაფად იცვლება ვიდრე პირველნი, და ამიტომ გამოიყვანა ის უცნაური დასკვნა, რომ ისტორიის ერთად ერთი მიზეზი საწარმოო ძალთა ცვალებადობააო. მაგრამ ამგვარივე ლოღიკით შეგვიძლია ვთქვათ: პოლიტიკური ცვლილებანი უფრო ხშირად ხდება, ვიდრე ეკონომიური, მაშასადამე პირველი მეორესა ჰქმნის! ამგვარი დასკვნა, ჩვენ გვგონია არც მეცნიერული იქნება, და განსაკუთრებით ეკონომიური მატერიალიზმის მომხრეთ არ მოეწონებათ.

ისტორიის ბედი რომ ისე უბრალოდ და პირდაპირის ლარ-ხაზით გადაწყვეტილიყო, ოოგორც ეს კელლეს-კრაუსსა და სხვა მარქსისტებსა ჰგონიათ, მაშინ კაცობრიობას თავის დღეში არ ექნებოდა იმდენი პრობლემები გადასაწყვეტი, მისი ტანჯვა და წვალება ისეთი დიადი და რთული არ იქმნებოდა, ბედნიერება ეხლა ჩვენთვის ახლო მომავლის საქმე იქნებოდა, თუ არ უკვე განხორციელებული.

მაგრამ საქმე ასე არა ხდებოდა ჩვენ და საუბედუროდ. თავდაპირველად ადამიანთა ცივილიზაციები სრულიად განისაზღვრებოდნენ იმ წრიდან, რომელშიაც ისინი ჩაისახნენ. ამ წრემ განსაზღვრა მათი ეკონომიური ორგანიზაცია, მათი სარწმუნოება, მათი მეცნიერება, პოლიტიკა, მორალი და სხვა. ვინ არ იცის როლი ნილისა ეგვიპტის ცივილიზაციის შექმნაში, ვინ არ იცის „ნილის რეჟიმი“[3])

შემდეგ,—ცივილიზაციის გაძლიერებისა და ხალხის განმრავლებისა და აგრეთვე სამარ ძალის შეკრების მიზეზით დიდი ემიგრაციანი ხალხთა, დიდი სრბოლანი ცივილიზაციათა, მაგალითად აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ და ეხლა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ,—სრბოლანი, რომელნიც აგრეთვე ძლიერ არიან დამოკიდებულნი გზათა ხასიათზედ, რომელნიც თავის მხრით არიან დამოკიდებულნი, საერთო გეოგრაფიულ პირობათაგან, მუდმივი ბრძოლანი ხალხთა შორის, სისხლის რწყვით გავრცელება ცივილიზაციათა, ან მიწის პირისაგან აღგავება მთელ ხალხთა, გავრცელება სარწმუნოებათა ძალით ან ნებით, რაიცა ღრმა ცვლილებებს იწვევს დაპყრობილ ხალხთა ცხოვრებაში, სხვა განწყობილებანი დაპყრობილ და დამპყრობელ ხალხთა შორის, რაიც ორივეს უცვლის სახესა და ცხოვრების წესთა,—ერთის სიტყვით მრავალნი შერევანი მრავალ რასათა და ცივილიზაციათა წარმომადგენელ ხალხთა და მათი ურთი-ერთზედ მოქმედებანი რაიცა განუწყვეტლივ ხდებოდა **ხან რეგრესსისა და ხან პროგრესსის შედეგით,**—აი რა ხდებოდა ისტორიაში და ამ რთულსა და არა პირდაპირ—ლარივით გაყვანილ სრბოლას ვერავითარ საწარმოო საშუალებათა პირდაპირსა და შინაგან განვითარებას ვერ დაუქვემდებარებთ. ეგვიპტეს რომ თავი დავანებოთ, რომელიც საუკეთესო მაგალითია წრის გავლენისა, რელიგიის გავლენისა და სხვა,—განა საბერძნეთი, როგორც ამბობს დეგრეფი,[4]) ძველებურად რომ ლიბიის უდაბნოსთან ყოფილიყო შეერთებული, ლომების ბუნაგი არ იქნებოდა არისტოტელის და ფიდიასის სამშობლოს მაგივრად, განა მისი ფილოსოფია და მორალი ისეთი იქნებოდა, რომ მას რელიგიის განვითარების ისეთი პირობები ჰქონოდა, როგორიც იყვნენ ეგვიპტეში რეკლიუს სიტყვით,—განა იგი მთელი ევროპის განმანათლებელი იქნებოდა, რომ იგი გზა არ ყოფილიყოს, და როგორი გზა მაშინდელი დროისათვის!—მცირე აზიიდან მომავალი ცივილიზაციისათვის? განა იტალია რომ ზღვით არ ყოფილიყოს შემორტყმული, საბერძნეთის გავლენის ქვეშ, ევროპაში სუსტ ბარბაროს ხალხთა მეზობლად, რომელთაც დააგვიანეს იქ შემოსევა და სხვა,—განა მისი განვითარება შინაგან საწარმოო ძალთა მიზეზით ისეთი იქნებოდა? განა თვით ქრისტიანობის ხასიათმა და მისი გავრცელების პირობებმა (რომის მსოფლიო იმპერია) არ იქონიეს უდიდესი გავლენა ევროპის მეცნიერების დაქვეითებაზედ, აგრეთვე თავისი ბეჭედი არ დაასვეს მთელ ფილოსოფიას, რომლისგან ემანსიპაციის დეკარტსაც კი შეეშინდა?[5]) განა ფეოდ ევროპის სახე სულ სხვა არ იქნებოდა, რომ ბარბაროსების შემოსევა არ მომხდარიყო, (ამ ხალხთა მიგრაციის მიზეზები კიდევ განსაზღვრული ხასიათისანი იყვნენ, აზიიდან წამოსვლის დროიდან

*) იხ. „ისარი“ № 83

[1]) Annales de l'Itstitut Internatianal de Sociologie, t. VIII. Qu'est-ce que le Matérialisme Economique,—Raport de M. Casimir de Kellès—Krauz, p. 55—56.

[2]) იხილე. A. Vaccaro: Le basi del diritto dello stato.

[3]) იხილე Maspero: L'Historie Ancienne, Reclus: L'Homme et la terre, II, G. de Greef: L'Evolution des Croyances et des doctrines Politiques, თავი: Le territorie et la Population, და სხვა.

[4]) L'Introduction à la sociologie.

[5]) იხ. Куно Фишеръ, Исторія Философіи. I: Декартъ.

გი კიკაშვილი, ლავრენტი დარჩია, ი. ლიცკევილი. ი. გ. ლილოვსკი და ხ. უვდორაძე; 40 კ.—პ. თევდორაძე; 20 კ.—ძ. თევდორაძე და ქეიშვილი.

12 მ. 30 კ. ვლადიმერ მეტრეველისაგან ფასანაურში შეგროვილი. შემომწირველნი: თითო მანეთი: გიგო კობაიძემ, მღვდელი რაჟდენ თურქაძემ, გ. ყიფიანმა, №№, А. Заблоцкій, ათ-ათი შაური: ნიკოლოზ კობაიძემ, ილ. კობაიძემ, №№, ს. კაიშაურმა, პ. აბულოვმა, დ. ჩილოევმა, №№, მარიამ ივ. კობაიძემ, მ. მარინაშვილმა, ორი აბაზი: ადამ ქავთაროვმა; ექვსი შაური იაკობ ბურდულმა; თითო აბაზი: შიო ქავთაროვმა, ვანო ჩოხელმა, ვ. მამისაშვილმა, ვანო თუჯიშვილმა, მღვდელმა კოლა კავკასიძემ, ივ. ხანთაძემ, გრ. წიკლაურმა, გიორგი ჩუჩუკურმა, მედავითნე ი. შ., სამ სამი შაური: გ. ბექაურმა და მათე ჯანიაშვილმა.

✦ აგუჭადის ქუჩაზე 16 აპრილს ვიღაც უცნობნი თავს დაესხნენ მომავალ ქალს ევგენია გაზიანცისას, მოგლიჯეს თავის სამკაული 200 მანეთად დირებული და მიიმალნენ.

✦ 16 აპრილს აბასთუმნის ქუჩაზე 2 უცნობი თავს დაეცა შემთხვევით გამვლელ აკერ ბაგიროვს. ჯიბიდან ამოჰგლიჯეს ფული 350 მან. და 80 მან.

✦ ხვალ, 19 აპრილს, მოხდება ტფ. ქალაქის საბჭოს სხდომა ტრამვაისათვის შემუშავებულ სახელმძღვანელო სავალდებულო დადგენილებათა განსახილველად.

✦ ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის ბათუმის აგენტმა ზ. დ. მჭედლიშვილმა შუამდგომლობა აღძრა ბანკის წინაშე, რომ ეძლიოთ სესხი ბათუმის გარშემო ადგილების სადიბაურისა, ქობულეთისა, მიხინჯაურისა და სხვ. მცხოვრებლებს მათ მამულების გირაოს ქვეშ, ისე როგორც ეძლევა სესხი ქალაქის მამულების დამგირავებლებს

✦ 2 მაისისათვის საჯარო ვაჭრობით გასასყიდად დაინიშნა ვართანოვის სტამბა, რადგან მესტამბეს დიდი ვალი დასდებია.

✦ გვთხოვენ დავბეჭდოთ: „12 აპრილს სცენის მოყვარეებმა, მატარაძის გამგეობით, ავლაბრის თეატრში წარმოადგინეს „ორი გმირი", დრ. გუნიასი. ხალხი ცოტა დაესწრო. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, მხოლოდ ხელს უშლიდა—დუდუხანი (აფხაზიშვილის ქალი) თავის უხეირო მიმიკით. წარმოდგენის შემდეგ მატარაძეს უნდა წაეკითხა „შეშლილის წერილები", მაგრამ თეატრის მოიჯარადრემ ასლამაზოვმა ნება არ მისცა. ის ამბობდა, დრო გადასულია და ნება არა მაქვს კიდევ განვაგრძო წარმოდგენაო. ხალხი არწმუნებდა, რომ დიდი დრო არ გავიდოდა და მიეცა ნება წაკითხვისა, მაგრამ ცივ უარზე იდგა, იმიტომ, რომ სინათლე მეტი დაიწვებოდა. ბოლოს ხალხმა ძალად ასწია ფარდა. მანამ ხალხი ამას შეასრულებდა, ასლამაზოვს პოლიციისათვის შეეტყობინებია. როდესაც პოლიციელები გაჩნდნენ, მოგვმართა და გვითხრა, აი სთხოვეთ და თუ ნებას მოგცემთ, რაც გინდათ, ის ითამაშეთო. საკვირველია ასლამაზოვის საქციელი: 8—9 თუმნის აღებ ში ნება აქვს და ფარდის ახდაში კი პოლიცას ეკითხება. აი დღეს ვის ხელშია ავლაბრის თეატრი, აი ვინ უდგია სათავეში ავლაბრის სახალხო თეატრს! მუშა ფრანცი."

## ქუთაისის ქრონიკა

✦ ხალხის ჩხრეკა ქუჩებში განუწყვეტლად სწარმოებს. დღე ისე არ გავა, რომ ჩხრეკის დროს ვინმე არ დაატუსაღონ. აპატიმრებენ თითქმის სულ უპასპორტოებს. 15 აპრილს დილის 10 საათზე, ფილიპოვისა და საბაევის მაღაზიასთან რამდენიმე კაცი იდგა. მათ მიუახლოვდა პატრული. ჯარის კაცებმა დაუწყეს ჩხრეკა. ამოაღებინეს ჯიბეებიდან ყველაფერი პორტ-სიგარები, საფულეები, ქაღალდები და დაუწყეს კითხვა. ერთმა ხელთნაწერმა, როგორცა სჩანს, ეჭვი გამოიწვია და მისი პატრონი, მასწავლებელი ჩარექოვი, ორი ჯარის კაცს შუა ჩააყენეს და პოლიციაში გაგზავნეს. ჩვენ ყველანი სახტად დავრჩით.

✦ თვეზე მეტია, რაც ქალაქის საბჭო არ იკრიბება, თუმცა ბევრი საქმეა განსახილველი. მიზეზი საალყო წესებია. ამ წესების გამო კომისიებისა და თვით საბჭოს მოწვევა შეუძლებელია. დღისითაც ვერ შეკრებილან, რადგან უმეტესი ნაწილი ხმოსნებისა ვაჭარი ხალხია.

✦ 15 აპრილს მოხდა კრება საურთიერთო საზოგადოების წევრთა. კრებამ მოიწონა კომისიის აზრი, რომ შავი ქვის განაღდების მოგება 52.020—99 კ. წევრთაგან მიღებულ პასუხსაგებელ ზარალს არ ჩამოაკლდეს და იგი პასივში ცალკე იქნას აღნიშნული. ხოლო ზარალის რაოდენობა ამ ჯამით უნდა გადიდდეს.

ანგარიშის დამტკიცების შემდეგ კრებამ მიანდო საბჭოს, გამგეობას და არჩეულ კომისიას ახალი შენობის დაქირავება. გამგეობის წინადადება წესდების რამდენიმე მუხლის შეცვლის შესახებ კრებამ მიიღო. მიიღო აგრეთვე ხარჯ-აღრიცხვა 27.500 მანეთისა. გამგეობის თავმჯდომარეს 2500 მანეთის ნაცვლად დაუნიშნეს 3000 მანეთი. გამგეობის თავმჯდომარედ უკენჭოდ აირჩიეს ყოფილი თავმჯდომარე თავადი ანდრია ერისთავი; დირექტორთაგან სამსახურის ვადა გაუთავდა თ-დ ნესტორ ერისთავს, რომელიც ხელ-მეორედ აირჩიეს. საბჭოს წევრებად დასტოვეს ძველები—კოწია გოცირიძე და რიჟინაშვილი. სარევიზიო კომისიის წევრებად აირჩიეს: დიდიმ ჩიკვაიძე, იაკობ ავსარქისოვი და დავით ნაზაროვი.

## პრესსა

„ლახვარი"-ს პუბლიცისტი ი. ბ—ძე თავის „პოზიციის" დაცვას განაგრძობს. უპირველეს ყოვლისა ი. ბ—ძე აცხადებს, რომ „პარტიათა შორის დისკუსია კი არ დაეხმარება, არამედ ხელს შეუშლის კონფერენციის მუშაობასაო"; მაგრამ **რათ** შეუშლის ხელს პარტიათა დისკუსია კონფერენციის მუშაობას,—ამის დამტკიცება და დასაბუთება „ლახვარი"ს ბრძენ პუბლიცისტს სრულიად მეტად მიაჩნია. ჩვენ კი დარწმუნებულნი ვართ და, მგონია, პროფესიონალურ კავშირების ცენტრალურ საბჭოს უმრავლესობაც დაგვეთანხმება, რომ ასეთი დისკუსია პარტიათა შორის ხელს კი არ შეუშლის კონფერენციის მუშაობას, არამედ ძალიან შეუწყობს. პროფესიონალურ კავშირებს მრავალი ისეთი საკითხი აქვს გადასაწყვეტი, მისი მიზნები ისეთი მრავალფეროვანია, რომ სხვა და სხვა მიმართულების აზრთა შეხლა, რომელსაც ასე ძალიან გაურბის „მენშევიკების პუბლიცისტი", აუცილებლად საჭიროა ამ საკითხების ადვილად გადასაწყვეტად და მიზნების გამოსაშკარავებლად. ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს დისკუსიები პარტიათა შორის პარტიულ საკითხზე კი არ იქნება, არამედ ისეთს საკითხზე, რომლის გადაწყვეტაშიაც პროფესიონალური კავშირები პირდაპირ არიან დაინტერესებულნი. პროფესიონალურ კავშირების საბჭოს ყოველთვის შეუძლიან აკრძალოს ისეთი კამათი, რომელიც პარტიულ საკითხებს შეეხება და ჩვენ დარწმუნებულნიცა ვართ, რომ საბჭო სწორედ ასე მოიქცევა. ისეთი კამათი კი, რომელიც პროფესიონალურ ორგანიზაციის მიერ წამოყენებულ საკითხებს შეეხება, ძალიან სასურველია, და თუ ბ-ნი ი. ბ—ძე მაინც წინააღმდეგს ამტკიცებს, ეს განსაკუთრებით იმიტომა ხდება, რომ პარტიულ ფანატიზმით არის დაბრმავებული და პარტიულ ინტერესებს ხალხის რეალურ ინტერესებზე მაღლა აყენებს.

ჩვენ ამას „პარტიული მოსაზრებით" კი არ ვსაჩივლებით, როგორც ბ-ნი ი. ბ—ძე ამბობს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ „უპარტიო" პროფესიონალური ორგანიზაციები მხოლოდ ამისთანა ნიადაგზე უნდა იდგნენ.

ამა თუ იმ პარტიის წარმომადგენლის მოწვევას,—განაგრძობს ჩვენი „პუბლიცისტი",—პროფესიონალურ კავშირების კონფერენციაზე ან სიეზდზე უნდა ჰქონდეს ერთი აზრი—ის, ე. ი. მოწვევა, ავტორიტეტს უნდა მატებდეს კონფერენციას ამა თუ იმ პარტიის მუშათა თვალში, უნდა იპყრობდეს ამა თუ იმ პარტიის მუშების ყურადღებას კონფერენციის მუშაობაზე და ამნაირათ ხელს უწყობს უპარტიო პროფესიონალურ მოძრაობის გაფართოვებას.

ჩვენ ვიცით, რომ პროფესიონალური კავშირები უპარტიოა, ე. ი. ამ კავშირებში ყველა პარტიის მუშებს შეუძლიანთ შევიდნენ. ამასთანავე ჩვენ ისიც ვიცით, რომ არიან მრავალი ისეთი მუშები, რომლებიც ან არც ერთს პარტიას არ ეკუთვნიან, ან ამა თუ იმ პარტიას თანაუგრძნობენ. თუ პროფესიონალურ ორგანიზაციებს უნდათ მტკიცე უპარტიობა დაიცვან და თავიანთი გავლენა მოიპოვონ მუშებზე, არავითარი ყურადღება არ უნდა მიაქციონ იმ გარემოებას, ამა თუ იმ პარტიას ცოტა მუშები ემხრობიან თუ ბევრნი. პროფესიონალურ კავშირების ერთად ერთს მიზანს მხოლოდ ის უნდა შეადგენდეს, რომ **ყველა** პარტიებისა და უპარტიო მუშები შემოიერთონ და ამით თავიანთი ორგანიზაციები გააძლიერონ. მაგრამ თუ პროფესიონალურმა ორგანიზაციებმა მხარი აუქციათ ისეთს მუშებს, რომლებიც, მიუხედავად თავის სიმცირისა, მაინც თავის რწმენას მტკიცედ ადგანან და მუხშავ „ძალას" ბრმად არ ემორჩილებიან, მაშინ პროფესიონალური კავშირები გავლენას ვერასოდეს ვერ მოიპოვებენ და, მაშასადამე, თავის მიზანსაც ვერ მიაღწევენ. ამიტომ, თუ პროფესიონალურ კავშირების საბჭოს თავისი მიზანი კარგად ჰქონდა გათვალისწინებული, უეჭველად ისე უნდა მოქცეულიყო, როგორც მოიქცა. და ამიტომ სრულიად უადგილოა გოდება „ლახვარი"-ს პუბლიცისტისა, რომელსაც სხვა პარტიებთან პირის პირ შეჯახებისა და პროფესიონალურ კავშირებზე სოციალ-დემოკრატების გავლენის შემცირებისა ისე ეშინიან, როგორც თხუნელას მზის შუქი.

## პატარა ფელეტონი

ეტიუდი

დაუსრულებელი კამათი აქვთ იმ ორს არსებას, რომელსაც ჩემის სულის სიღრმეში მოუკალათებიათ. არ იქნა მათი მორიგება. რაზედაც უნდა დაიწყონ ლაპარაკი, ერთი ერთს გაიძახის და მეორე—მეორეს. აი ეხლაც, როდესაც გაზაფხულის თბილმა მზემ ჩააშუქა ჩემს გულშიაც და განმაახლებელი სითბო და სინათლე მოჰფინა სულს, [illegible] ისევ კამათი.

— რად არ არის ეს გაზაფხული გაზაფხული? [illegible] განა წლევანდელი ია შარშანდელს არა ჰგავს? განა მისი სურნელება ისეთივე ნაზი და ტკბილი არ არის, როგორც კვლავინდებურის გაზაფხულის მოციქულისა?

— განა მაგის უარსა ვარ? მშვენიერია წლევანდელი იაც, შეიძლება ასეთი ია არასოდეს არა ყოფილიყოს, მაგრამ იმ გაზაფხულის იანი სულ სხვა იყო. იმ ჩემ იათა სუნმა, მახსოვს, მაშინ სრულებით დამათრო, თავბრუ დამასხა და ისეთი სიამოვნება ჩამიწვეთა ძარღვებში, რომ მაშინდელ სიამოვნებას თითქო ეხლაც ვგრძნობდე!

— დავეხსნათ ყვავილს. ყური დაუგდე მერცხალთ ჭიკჭიკს. მის გაგონებაზე დაგავიწყდება, ყოფილა როდისმე ზამთარი, ლამაზი, თეთრი, წმინდა, მაგრამ ცივი და მყინავი ზამთარი. აბა, შეხედე, როგორ დანავარდობენ თავისუფალნი და ჰიმნს უგალობენ გაზაფხულის ჭრელს, ფერადს, თბილსა და სიცოცხლის დამბადებელს მშვენიერს ქალა-ღმერთს—გაზაფხულს! რას უწუნებ ამ მშვენიერ გძელკუდა კაბიან ელჩებს, ამ მოჭიკჭიკე მალხაზებს? განა ისეთივე ცქრიალა მხიარული თანამგზავრები არ არიან გაზაფხულისა, როგორც კვლავაც გინახავს?—მართალი ხარ, მართალი. მე ძლიერ მიყვარან ეს პატარა სიყვარულის სიმბოლო ჩიტუნები. განა მოინახება ისეთი სულიერი, მერცხლის დანახვაზე გული არ მოეშვას, რაც უნდა გულდავრდომილი, დაჩაგრული ან ბრაზმორეული იყოს? ესენიც ისეთივე მშვენიერნი და კეკლუცნი არიან, როგორც ყველა სხვანი ყოფილან, მაგრამ, რომ იცოდე, როგორის სიხარულით და სიყვარულით შევყურებდი იმ ჩემ მერცხლებს, იმ გაზაფხულს, იმ ჩემს პირველს მერცხლებს? როგორ ჭიკჭიკობდნენ, აივნის ჭერ-ქვეშ, კუთხეში ბუდეს რომ იკეთებდნენ! ასე მეგონა მუდამ ჩემთან, ჩემ ჭერ ქვეშ დარჩებოდნენ და მათ ფთებზე მოფრენილი გაზაფხული სამუდამოდ დაიმკვიდრებდა ჩემს გარშემო და ჩემში. მაგრამ გაიარა დრომ, ჩამოდგა შემოდგომა, ყველაფერს თავისი ოქროს მქრთალი ფერი დაედო და ჩემმა მერცხლებმა იწყეს მზადება სადღაც გასაფრენად. ჩემი სულიც მათკენ ისწრაფვოდა, მეც მათთან გაფრე-

---

ევროპაში დასახლებამდე) და **რომს თვით მოეხდინა თავისი შინაგანი რევოლიუცია?**—ასეთივე შენიშვნები შეგვიძლია სხვა ხალხთა შესახებაც.

საქართველოს ისტორიის ბედის ერთი გადამწყვეტთაგანი არ იყო ქრისტიანობა თვით ქართველთა, ისლამთან ბრძოლა და სხვა, რაიც თავის მხრივ პირობათა ათასი კომბინაციით გვარგუნა ჩვენ ბედმა? ჩვენი გადაშენების მიზეზი რამდენია, ვინ მოსთვლის? განა რუსეთს რომ დღეს პრობლემები უდგია, მარტო ეკონომიური რომ იყოს, უფრო სხვანაირად არ გადასწყდებოდა თვით რუსეთის ბედი, მაშასადამე ბედი მთელი ისტორიისა და სხვა, და სხვა?..

ვიცი, ჩვენ აქ მარქსისტები „უკანასკნელ მიზეზებზედ" მიგვითითებენ, მაგრამ საქმეც ის არის, რომ დღესაც ვიცით ათასი ხალხი, რომელთა შორისაც შთანაჩენები საწარმოო იარაღთა არ განვითარებულან, და ეს განუვითარებლობა სრულიად განისაზღვრება იმ არაეკონომიურ პირობებით, მათი წრესთან შეგუების იმ პირობებით, რომელიც მათთვის ამა თუ იმ მიზეზის გამო აუცილებელი შეიქმნენ. სწორედ აზიის ნაწილი და ევროპა რომ იყო ცივილიზაციის სამშობლო, ამასაც მრავალი უღრმესი არა ეკონომიური მიზეზები და პირობები ჰქონდა, რამაც განსაზღვრა ისტორიის მსვლელობა.

პირველ-ყოფილ ხალხთა ომები, როგორც სამართლიანად შენიშნავს ვაკკარო,[6]) უმეტეს ნაწილად მითი დახასიათდებოდა, რომ მთლად ერთიანად ამოხოცდა ხოლმე გამარჯვებული დამარცხებულთ. ეს იყო მართლაც ნამდვილი ბრძოლა არსებობისათვის, რომელიც არც დიდს, არც პატარასა და არც დედა-კაცს არც ლასახოცად და არც საქმელად არ ინდობდა. თუმცა აქ მცირე შენიშვნაა საჭირო: ეს ჰობსის „ყველას ბრძოლა ყველას წინააღმდეგ" არ არის ჯერ ერთი ასეთი ბრძოლა ხალხთა შორის მათ მშვიდობიან განწყობილებასთან შედარებით ძვირი მოვლენა იყო, მეორე თვით საზოგადოების შიგნით კოოპერაცია და საურთი-ერთო დახმარება მეფობდა, ვინაიდგან, ჰობსის აზრი რომ მართალი ყოფილიყოს, მაშინ ყოვლად შეუძლებელი იქნებოდა ადამიანთა საზოგადოების თვით არსებობაც-კი, არამც თუ მისი ევოლიუცია პროგრესის გზაზედ.

შემდეგმა ევოლიუციამ ადამიანთა საზოგადოების ორგანიზაცია ეკონომიურად და პოლიტიკურად მკიდრო გახადა, მისი სიმკიდროვე სხვათა შორის ადამიანის შრომის დაფასებაშიაც გამოიხატა, და ეს იყო მისი მიზეზი, რომ ომში დაპყრობილ კაცებს, ტყვეებს დახოცვის მაგიერ ძალათ ამუშავებდნენ. მონები გახდნენ კერძო საკუთრებად და მერე საზოგადო საკუთრებად,—მონობა საზოგადო დაწესებულებად შეიქმნა.

მაშასადამე აქ მარტო ეკონომიური მიზეზი კი არ მოქმედებდა,—არამედ მიზეზი პირდაპირი ფიზიკური ძალის ხმარებისა ეკონომიურ და პოლიტიკურ მიზეზთან ერთად, რომ მონობა საზოგადო დაწესებულებად გამხდარიყო. ვერც კერძო საკუთრება თავისთავად, ვერც შრომის განაწილება, ვერც ვერავითარი დიალექტიკური პროცესსი საწარმოო საშუალებათა განვითარებისა ვერ შეჰქმნიდენ მონობას, რომ ტლანქი ფიზიკური ძალა, ომი არ ყოფილიყოს უმთავრესი იარაღი ამ საზიზღარი დაწესებულებისა, რომელსაც არავითარი პროგრესსი არ განუსაზღვრავს კაცობრიობის ისტორიაში, გარდა მონათა და ბატონთა ორივეს ერთად პარაზიტებად გახდომისა და გადაშენებისა.

არა მარტო ეკონომიური გზით შეიქმნა მონობა, არამედ პირდაპირ პოლიტიკურითაც. ეს ნათლად სჩანს იქიდან, რომ მონები ყველა დაპყრობილი ხალხისაგან შესდგებოდენ. მაშასადამე შინაგან განწყობილებას ინდივიდთა შორის კი არ გამოუწვევია იგი, არამედ გარეგანს, ერთი ხალხის განწყობილებას მეორესთან.

ძველი ეგვიპტის კასტებიდან დაწყებული რომის მონობამდის ვამჩნევთ ჩვენ ამ საგულისხმო ფაქტს. რელიგიამ კი ხომ დიდი გავლენა იქონია კასტების შექმნაზედ ეგვიპტეში,—ეს ცხადია. მართალია, პირველად იგი მხოლოდ აკურთხებს აღსრულებულ ფაქტს, მაგრამ მერე თვით ხდება ეკონომიურ ძალად, რომელიც ყოველ წმინდა ეკონომიურ ძალაზედ უარესია.—ეგვიპტეშიაც ორი იყო გაბატონებული, უმთავრესი კასტა: ქურუმები და მეომრები. სულ უკანასკნელნი კი იყვნენ მწყემსები, ანუ ჰიქსოსები, რომელთაც ტაძარში შესვლაც არ შეეძლოთ. ეს ჰიქსოსები კი ჯერ დამპყრობელნი იყვნენ, მერე ეგვიპტელებისაგან დაპყრობილნი. ვინ არ იცის აგრეთვე ურიების,—მთელი ერის მონობის ამბავი ეგვიპტელების ხელში.

თვით სიტყვა კასტა ნიშნავს სანსკრიტულად **ფერს**. არიელები, რომელთაც ეთიოპიის შავ-კანიანი ჩამომავალი ხალხი სუტრები და პარიები დაიპყრეს, ინდოეთში, თავის თავს ეძახდენ ბრამინებს, შიატრიასა და ვაიზიას. სწორედ ესენი იყვნენ გაბატონებული კასტები. შავკანიანი პარიის სახელი კი დღესაც ნიშნავს დაჩაგრულის განხორციელებას. მაგრამ ინდოეთში კიდევ არიან უარესნი, ვიდრე პარიები, პულიები „მალაბარის ტყეებში. ისინი სცხოვრობენ როგორც მხეცები, რადგან ბუდეებსავით იკეთებენ მაღალ ხეებზედ, გზაზედ ვერ გამოჩნდებიან, რადგანაც, ვინც შეხვდება, ყველას შეუძლია იმის მოკვლა უდანაშაულოდ".[7]) ახსენით ეს ფაქტი საწარმოო ძალთა შინაგან განვითარებით, თუ შეგიძლიათ, მაგრამ ასეთი ახსნა ვერ იქნება რაციონალური. პარია და პულია შედეგია ნაძალადევი დამონებისა და რელიგიის ბეჭდის დასმისა ამ მონობაზედ, რამაც ინდოეთის მთელი საზოგადოება პარაზიტიზმისა და გადაშენების გზაზედ დააყენა.

აგრეთვე საბერძნეთში ჯერ თვით ბერძნები იყვნენ გამარჯვებულ პელაზგთა ხარკის მძლეველები და თითქმის მონები. შემდეგ ბერძნებმა სძლიეს პელაზგებს და ზოგი მათგანი იტალიაში გადასახლდა, ზოგიც დაიმონავეს. მაგალითად, დორიელებმა დაიპყრეს ლაკონია, გაბატონდნენ სპარტაში და დაირქვეს სპარტიატები, დაპყრობილ ახეველთა და პელაზგთა ნაწილს კი დაუტოვეს თავისუფლება, დაადვეს ხარჯი, არ აძლევდნენ ქალაქში ცხოვრების ნებას, არამედ ქალაქის ირგვლივ და დაარქვეს პერიოიკები, ნაწილი კი მთლად დაიმონეს, გახადეს სახალხო საკუთრებად და უწოდეს ჰილოტები, ე. ი. „ტყვედ წაყვანილნი. ცნობილია რომ სპარტას ამ ჰილოტთა გამრავლებისა ეშინოდა და პერიოდულად მათ ხოცვაში ავარჯიშებდა თავის ახალგაზრდა მეომრებს.

ასეთივე ძირი ჰქონდა მონობას საბერძნეთის მრავალ ქალაქებში. ამავე ფაქტს ვამჩნევთ რომში. უფრო კულტურული ერი ლათინთა დაიპყრო ბარბაროსმა და მეომარმა საბელლთა ტომმა,—ციციებმა და რამნეტებმა. პირველი იქნა დახარკული და მომუშავე—პლებსი, მეორე პოლიტიკურად სხვა რელიგიის მქონე, ეკონომიურად გაბატონებული კლასსი,—პატრიციატი. ამ უკანასკნელებმა დაარსეს ქალაქი რომი. ისინი იყვნენ ბატონნი ეკონომიურად, პოლიტიკურად და რელიგიოზურად. სამი საუკუნის ბრძოლის შემდეგ რომი რომ დაარსდა, მოისპო მხოლოდ აღკრძალვა პატრიციების და პლებეების შორის ქორწინებისა. ერთის სიტყვით, როგორც ვაკკაროს სიტყვით ამბობს დიომედ პანტალეონი, „პატრიატი თავდაპირველად იყო საბელლთა ტომისა, სხვა ეროვნების, სხვა ზნე-ჩვეულების, სხვა სოციალური წყობილების, სხვა სჯულისა და სხვა ენისა, პლებსი კი სულ სხვა ხალხი იყო. ეს უკანასკნელი ცივილიზაციით, ზნე-ჩვეულებით, რჯულითა და ენით ლათინთა ჩამომავლობის იყო"... პატრიციები დამპყრობელები იყვნენ, პლებეები კი დაპყრობილები[8]").

კლიენტებიც აგრეთვე ომის შედეგნი იყვნენ რომში. მონებით კი მთლად გაავსეს რომის იმპერია მცირე აზიიდან, საბერძნეთიდან, სირიიდან და ურიასტანიდან, გალლიიდან, გერმანიიდან და სლავიანთა ქვეყნებიდან. ღმერთო შეგცოდე და იმასაც კი ამტკიცებენ რომ თვით სიტყვა „სლავიანი" უდრის სიტყვას Slave, esclave, sclave,—მონას რომ ამ უბედურ ხალხს მონობა არგუნა ბედმა ჟამთა ვითარებაში და არც ერთს ხალხს არ გამოუვლია იმდენი მონობა, როგორც სლავიანებსო, თუმცა კეთილი ე. რეკლიუს აზრით სიტყვა—„სლავიანე" წარმოსდგება славный და. მშვენიერებს უწოდებდნენ იგინი თავიანთ თავსო...

ფეოდალიზმის აღმოცენების ისტორია ხომ სავსეა ასეთი მაგალითებით. მთელ ევროპაში, ყველა ქვეყნებში თავად-აზ-

[6]) A. Vaccaro: Le basi del diritto e dello stato, c. V.

[7]) Dubois, Moeurs et Coutumes indiens, t. I, p. 67. cit. Vaccaro: La Lotta per l'esistenza etc, p. 115.

[8]) Vaccaro, ibid. 129.

ნა მღერდა იქ, სადაც ჩემი გაზაფხული ენდა გაგრძელებულიყო. ერთს დილას ჩემს ჩიტებს ბუდე ცარიელი დამხვდა; ჩემი მთიური მეგობრები განშორებოდნენ. მხოლოდ ერთი მათგანი, ყველაზე ფერადი,—ყვითელი, მოხუცებული—იყო,—ვერ ასდევნებოდა ამხანაგებს, ჩამომჯდარიყო ახლო ხეზე და მწუხარეს ფიქრით გაიყურებოდა შორს. საწყალს გადაფრენილიყვნენ, შორს მზის-რობის ვერ შეეძლო, და დარჩენილიყო. ცოტა ხანს უკან სიცივეებმაც დაიწყო და ჩემს ოთახში მეგობარს ადარ ვნახავდი შემდეგი გაზაფხულამდე... მას აქეთ ადარც ჩემთვის დამდგარა ნამდვილი გაზაფხული, ის იყო ნამდვილი გაზაფხული.

—:—

—რას ამბობ, განა ის შენი სიცოცხლე პირველი იყო, რო ვერ გაისწრო ზამთარმა და გაიფინე? მაგის მაგიერად ხომ უწინაც ყოფილა, მაშ არც შენი გაზაფხული ყოფილა ნამდვილი გაზაფხული, მაგრამ რომ ვიცით. აბა, უყურე ცას, როგორი წმინდა და ნათელია! შეხედე მთებს და ველს; ყველაფერი ყვავის, ათასფერად იფინება და იმოსება. ყური დაუგდე წყაროს ჩქრიალს, როგორი მომხიბლავი: აი, მიდ ყინულისგან განთავისუფლებული მოვარდნილი გამოქანდა, მთელი ქვეყანას,—ყველაფერს და ყველას უხარია გაზაფხულის სულმა, მოსდე ქვეყანა ერთ გრძნობად გადაქცეულა—სიყვარულად, მთელი ქვეყანა მას უმღერის და მას უგალობს. მარტო შენ გერ დამეკინარება, თითქო გზის პირას მდგარი იყო და ამ შვენიერის ღმერთის კალთაზე შენ არ გეხედებოდეს.

—მართალი ხარ, მართალი!...

—მაშ რაღა არ ხარობ, რა გინდა კიდე?

—ის გაზაფხულის, ის გაზაფხული!...

—აკი მართალი ხარო, აკი ის შენი გაზაფხულის არაფერით არ განირჩევა არჩეულის სხვა გაზაფხულისაგან და, მაშასადამე, არც ამისაგან.

—მართალი ხარ, მართალი, მაგრამ...

—მაგრამ?

—ის ჩემის სიცოცხლის გაზაფხული იყო.

**ივ. ზ—შვილი.**

## პროვინციის ცხოვრება

—:—

**სამხთო** (გურია). უთავბოლო გადასახადებმა დავთარი აურია სოფლელებს. ძველის ძველი ჯარიმები, ნედოიმკები და სხვა უკანონო და კანონიერი გადასახადები ყველა ეხლა გამოხახა მთავრობამ. „თუ სხვაგანაც ასე ახდევინებენ, ძმავ, ახლა ხაზინაში ფულის გორები იქნებაო", ამბობენ სოფლელები. ისე კვირა არ გაივლის, რომ „საჩქარო" მოწერილობა არ მოგვივიდეს გადასახადების მოკრეფის შესახებ. ხანდახან ბოქაულიც გვესტუმრება ხოლმე. „მე თქვენ გიცხადებთ, რომ რასაც თხოულობენ, თავის დროზე წარმოადგინეთ, თორემ შემდეგ სტრაჟნიკები რომ მოგისიან და სარჩო-საბადებელი წაგართვან, ჩემი ბრალი ადარ იქნება"ო, ამბობს ბოქაული. მოგეხსენებათ, რომ სოფლებში ჩაყენებული სტრაჟნიკები „საგანგებო კერძებზე" არიან დაჩვეულნი, „საგანგებო კერძები" იმათის ენით მგვლად შემწვარ ქათამს, ან სხვა რომელსამე შინაურ ფრინველს ჰქვია. სამთხოელები ქათამ-ბატიხვ-ინდოურზე უკაცრავად გახლავთ და ამიტომ სოფლელები არაფერს ზოგავენ ეგზეკუციის თავიდან ასაშორებლად: მართავენ კრებებს, ესწრებიან ურილობებს და ერთმანეთს ავალებენ ხვედრი გადასახადის თავის დროზე შეტანას. თუ რომელსამე სოფლელს ხელმოკლეობის გამო გადახდა არ ძალუძს, იმის ფულს უფრო შეძლებულები იხდიან. ხანდახან მაინც კი დათარაშობენ სოფელში სტრაჟნიკები. ამ დაუპატიჟებელ სტუმრების დანახვა ჭირივით ეჯავრებათ სოფლელებს ან კი რად გაუხარდებათ: სტრაჟნიკი ისე სოფელს, არ გაივლის რომ ვინმეს რამე არ წაჰგლიჯოს, ან მუჯლუგუნი არ წაჰკრას. მაგალითის ჩამოთვლას ადარ შეუდგები. არც საჭიროა: მკითხველი ისეც დაიჯერებს.

ჩვენს სოფელში ბევრი წვრილი აზნაურია. წინად სამთხოელი აზნაურებიც აზნაურობდნენ, და სოფლელების „ბუნტოხიკობა" არაფრად მოსწონდათ; მაგრამ მალე დარწმუნდნენ, რომ წოდებრივი ცალხმრივობა მათთვის მავნებელი იყო და თითონაც „გაბუნტოვხიკდენ". ეხლა ჩვენი აზნაურები „უაზახებთან ხელი-ხელ-ჩაკიდებულნი არიან: ესწრებიან კრებებს, იხდიან გადასახადებს და სხვა.

სოფლელებს დიდი იმედი აქვთ ეხლანდელ სათათბიროსი. „თუ ღმერთმა ქნა და დუმა არ გამორეკეს, მერე არაფერი გვიშავსო", ამბობენ. არც ჭირი, ლხინი ისე არ გათავდება, რომ სათათბიროში გაგზავნილ დეპუტატების სადღეგრძელო არ დალიონ სოფლელებმა და გამარჯვება არ უსურვონ.

**ი. დონელი.**

—:—

**ჭიათურა** ჭიათურის სადგურზე მსახურობს თითქმის ორასამდე კაცი ამაში ნახევარზედ მეტი ცოლშვილიანია. ამათი მდგომარეობა სწორედ აუტანელია ყოველ მხრივ. სადგომი არა აქვთ რიგიანი და ვისაც აქვს, უვარგისია, ვიწრო და მოუწყობელი. ეხლა ამისთვის ყურადღება მიუქცევიათ უფროსებს ტფილისიდან და განკარგულება მოუხდენიათ, რომ ზოგიერთი მოსამსახურენი, რა თქმა უნდა მეორე ხარისხოვანნი, გადაასახლონ სახლობით ახლად აშენებულ სადგურზე „ბეკდევი", რომელიც იმყოფება ჭიათურიდან ხუთს ვერსზედ. განკარგულება-კი მოუხდენიათ, მაგრამ თავი არ შეუწუხებიათ იმის გასაგებად, თუ რამდენად მოხერხებულია მოსამსახურეთათვის, ცოლშვილი იქ ამყოფონ და თითონ-კი ხუთი ვერსის მანძილზე დილიდან სადამომდის სამსახურში იყვნენ. მერე ისეთი ადგილია, რომ სოფელიც კი არ არის. საგანგებოდ მათთვის რამე მატარებელი დაენიშნათ! თითქო ამ მოსამსახურეების ცოლშვილს ჭაერით შეუძლიანთ ცხოვრება და ან სანოვაგის ან სხვა რამის მიტანა არ იყოს საჭირო.

ამ რკინის გზაზედ ჭიათურის სადგურის შემოსავალი თუ პირველი არა, მეორე მაინც არის, მაგრამ აქნობამდის ვერ იქნა, ვერ გაიმეტეს მოსამსახურეთათვის სამკითხველოც-კი. ახლა მოსამსახურეთ სურთ აღძრან საკითხი უფროსის წინაშე, რომ ერთი ხის შენობა მაინც დასდგან მათთვის ჭიათურის სადგურთანა, სადაც უნდა მოეწყოს სამკითხველო და ათაში ერთხელ წარმოდგენაც დადგან ხოლმე.

**ს. ცირუაშვილი.**

### დაშარალებულ მეგრელთა სასარგებლოდ

—

გიგზავნით 52 მანეთს, რომელიც შევკრიბე ჩემ ნაცნობებს შორის ქალაქ თელავში, დამშეულ მეგრელების სასარგებლოდ. გთხოვთ გადასცეთ ეს ფული ქართველ სასწავლებელთა მოქმედო საზოგადოებას დანიშნულების თანახმად გასაგზავნად.

ფული გამოიღეს: ი. ბარკალაიამ 5 მან., დ. ახვლედიანმა 3 მან., ს. დედერერმა 3 მ., ნ. მამინაიშვილმა 2 მ., ან. კახიძემ 2 მ., ი. მურმანიძემ 2 მ., ბ. ვარნაძემ 2 მ., თ. აბაშიძემ 2 მ., თ. ცისარაშვილმა 2 მ., ნ. ბარნოვმა 2 მ., ვ. ხუნდაძემ 2 მ., ზ. ჭავჭავაძემ 2 მ., უცნობისაგან 2 მ., ტ. გამყრელიძემ 1 მ., მღ. შიუკაშვილმა 1 მ., მღ. ხელაშვილმა 1 მ., გამგებლიშვილმა 1 მ., ს. აბელაშვილმა 1 მ., ნ. აბელაშვილმა 1 მ., მ. ვახვახიშვილმა 1 მ., ტარტარაშვილმა 1 მ., М. Юшкевичъ 1 м., Н. Согина 1 მ., თ. ბენაშვილმა 1 მ., ა. ჭავჭავაძემ 1 მ., ლ. ედილაშვილი 1 მ., ნ. მარკოზაშვილი 1 მ., ელ. შიუკაშვილი 1 მ., ნ. შ ტბერაშვილი 1 მ., დ. ცისკარაშვილი 1 მ., კ. ერისთვიშვილი 1 მ., №—1 მ., ქ. იაშვილი 50 კ., დარო 50 კაპ.

**მ. ქართველიშვილი.**

—

**დაზარალებულ ქართველთა სასარგებლოდ ბედევან ქუთათელაძის შეგროვილი ქ. ნახიჩევანში ერევნის გუბ.*)**

შემომწირველთა სია: გედ. ქუთათელაძე 5 მ., ივანე სანაკოევი 3 მ., Шахъ Базъ Ага Кергелинскій 3 руб., ანტონ ფირცხალავა 3 მ., პასიკო ლეკვინაძე 2 მ., ლადო მაღლაკელიძე 2 მ., ვანო გამყრელიძე 2 მ., ევგენი დათუკაშვილი 1 მან., დავით ზედელაშვილი 2 მ., ვანო ჭიპაშვილი 1 მ., ტრიფონ გოგიაშვილი 1 მ., სამჩერევაზიშვილი 1 მ., გრიგოლ კახიანი 1 მ., ბესარიონ კახიანი 1 მ., Машади Гейдаръ Мамедъ-оглы 1 р., Карапетъ Крикоровъ 1 1 р., რაჟდენ შარაშენიძე 1 მ., Григорій Николаевъ 1 р., იოსებ ბეროზაშვილი 1 მ., ლადო ოჩელი 1 მ., Юносъ Ханъ Нахичеванскій 1 р., იოსებ ქაჯაია 1 მ., Артемій Иваничъ Теръ-Маркаровъ 1 р., Папи Мосесовъ 50 к., ჩხარელი 50 კ., ილარიონ გიორგაძე 50 კ., ალექსი გოძიაშვილი 50 კ., ლეონტი გამყრელიძე 50 კ., კოსტე ჯანაშვილი 50 კ., ილიკო ცაგარაიშვილი 50 კ., სილოვან ბაბუნაიშვილი 50 კ., Тимофей Николаевъ 50 к., ვანო მელანაშვილი 40 კ., გ. კაჭაავა 20 კ., სულ 41 მან. და 10 კაპ.

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)
17 აპრილი.

**ლოძი.** მომრიგებელ მოსამართლემ განიხილა მეიბლერის მანუფაქტურის 400 მუშის საჩივარი. მეიბლერი ლოკაუტში იღებდა მონაწილეობას. მუშები ორი კვირის ქირას უჩიოდნენ. მოსამართლემ მუშები დააკმაყოფილა.

**ოდესა.** ადგილობრივ ოქრომჭედელთა ლოკაუტი 8 კვირას გაგრძელდა. სამედიატორო სასამართლომ საქმე გადაწყვიტა ოქრომჭედელთა ამქრის მუშათა კავშირის სასარგებლოდ. მუშებს მიესაჯათ ის ხელფასი, რაც ერგებოდათ ლოკაუტის განმავლობაში.

**ვარშავა.** სოლეცის ქუჩაზე დურგლის სახლში სტამბა აღმოაჩინეს, სადაც სარევოლიუციო წიგნები იბეჭდებოდა.

**უფა.** გლეხის სახლის სარდაფში იპოვნეს შრიფტი და აწყობილი გაზეთი «გლეხი და მუშა». იპოვნეს აგრეთვე სხვა და სხვა სასტამბო ნივთები. ორი კაცი დააპატიმრეს.

**კიევი.** სამოსამართლო პალატამ სათათბიროს წევრად ნამყოფს ვიროვლის ექვსი თვით სატუსაღოში ჯდომა მიუსაჯა. საქმის გარჩევამდე საპატიმროში ჯდომას ჩაიუთვლიან. ვიროვლის ჰბრალდებოდა არსებულ წესწყობილების დასამხობად ხალხის წაქეზება.

**მინსკი.** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთა გაფიცვის საქმეს ხუთ დღეს არჩევდნენ. გამოაცხადეს განაჩენი, რომელით ორს მიესაჯა ორ ორი წელიწადი ციხე, ერთს—ერთის წლითა და ოთხის თვით, ერთს 4 თვით. დანარჩენნი გაამართლეს. ბრალდებულთ საქმე სენატში გადააქვთ.

**ბრესტ-ლიტოვსკი.** მკერვალთა ლოკაუტი, რომელიც მთელი ზამთარი გაგრძელდა, გათავდა. მუშები დაეთანხმნენ პირობაზე ადებს. მომავალში მათ შორის უკმაყოფილება სამედიატორო სასამართლომ უნდა გაარჩიოს.

**კრემენჩუგი.** დნეპრი ნაპირებიდან გადმოვიდა და ქალაქის განაპირა ადგილი დაჰფარა. მცხოვრებნი გარბიან. ქუჩები ნავებით მიდი-მოდიან. წყალი მატულობს. მოსალოდნელია დიდი უბედურება.

**სმოლენსკი.** დნეპრმა ქალაქის განაპირა რაჩევკა დაანგრია.

**ნოვო-ჩერკასკი.** მდ. დონი ნაპირიდან გადავიდა და 15 ვერსის მანძილი დაჰფარა. ოთხი სტანიცა (საველი) წყლითაა შემორტყმული. ძლიერმა ქარიშხალმა, რომელიც ორი დღე გაგრძელდა, რამდენიმე ნავი გადააბრუნა. ქვედა სტანიცებს დიდი ზარალი მოუვიდა.

**ჩერნიგოვი.** მდ. დესნამ ძლიერ იმატა. ქალაქის განაპირა რამდენიმე ქუჩა წყლით დაიფარა. მიმოსვლა ნავებით სწარმოებს.

**ირკუტსკი.** ჩიტაში აღმოაჩინეს გვირაბი, რომლის გაყვანა ნდომებიათ ერთ მახლობელ დუქნიდან ხაზინამდე. მედუქნე დააპატიმრეს. დააპატიმრეს აგრეთვე ერთი ინჟენერი, რომელმაც თავის ვინაობა არ განაცხადა. დაპატიმრებულთ მაუზერები და ბრაუნინგები უპოვნეს.

**ლოძი.** 15 აპრილს ზგერუსკის ქუჩაზე ვიღამაც ხალხიდან პატრულს ესროლა. პატრულმა სროლითვე უპასუხა. მოკლულია ერთი მეწაღე. პასკის ქუჩის კუთხეში საარყე დუქანს დაეცნენ. 80 მანეთი გაიტაცეს, ჭურჭელი დაამტვრიეს და მიიმალნენ.

**ბრესტ-ლიტოვსკი** ნოვგოროდ-ვოლინსკში კერძო სახლში პოლიციამ აღმოაჩინა იარაღის საწყობი და სარევოლიუციო ბიბლიოთეკა. იპოვნეს 17 რევოლვერი და ... პატრონა. სახლის პატრონი ქალი შეიპყრეს.

**სიმფეროპოლი.** აღმოაჩინეს სარევოლიუციო სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი „სალდათი". იპოვნეს 16 ფუთი შრიფტი, ორი კაცი შეიპყრეს. დღეს დააპატიმრეს მასწავლებელი ქალი და მისი ... ები: ერთი ექიმი და მეორე სტუდენტი ... ნამყოფი. დააპატიმრეს აგრეთვე მათი მოსამსახურენი. იატაკ ქვეშ იპოვნეს ... რაღი, სტამბა და მიწერ-მოწერა რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან.

**ლოძი.** რადგან კვირაობით ბაზარში ტერორისტული აქტები ხდებოდა იმ აზრით, რომ ვაჭრობისთვის თავი განებებინათ, ადმინისტრაციამ გუშინ ზომები მიიღო.

**ცროკი.** მარტინკანცში გაძარცვეს საარყე დუქანი. გაიტაცეს 248 მანეთი.

**ცირასპოლი.** მემამულის ანდრეევის მამულის სამსახურეს 5 შეიარაღებული კაცი შემოვარდა. სიკვდილს დაემუქრნენ, 120 მანეთი წაართვეს და გაიქცნენ.

**ლოძი** გმარინსკის ტყეში ლოძის მახლობლად ნება დაურთველი კრება მოხდა. როცა ჯარი შემოერტყა, ხალხისაგან რევოლვერების ხმა გაისმა. ჯარმა სროლით გასცა პასუხი. სამი კაცი მოჰკლეს. ორი კაცი დააპატიმრეს

**პეცკა.** დაიწვა რკინის გზის ოსტატის სახლი. დედ-მამა სხვაგან წასულიყო და ორი ბავშვი სახლში დაეკეტათ. ბავშვები დაიღუპნენ.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროსთან არსებულ სამოსწავლო კომიტეტს მიენდო შეიმუშაოს წესდება საშუალო სასწავლებლებში კლასიდან კლასში გადასასვლელ ეგზამენების შესახებ. მომავალ წლიდან აზრადა აქვთ შემოიღონ ეგზამენები მესამედან უკანასკნელ კლასამდე.

**ოდესსა.** საერო განათლების მინისტრმა უნივერსიტეტის რექტორს წინადადება მისცა დაუყონებლივ მიიღოს ზომები, რომ სტუდენტთა ორგანიზაციამ, რომელიც თავისს თავს ნოვოროსსიის უნივერსიტეტების ცენტრალურ ორგანოს უწოდებს, მოქმედება შესწყვიტოს. აიკრძალოს კრებები და გამოეცხადოს ორგანიზაციის წარმომადგენლებს, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრატიას მასთან არავითარი ურთი-ერთობა არა აქვს და მის მიერ წარმოდგენილ წერილობით განცხადებას არ განიხილავს.

**მოსკოვი.** 16 აპრილს გურკოვის სახლის ცეცხლის საქრობ მილით ქურდები სახურავზე აცოცებულან, ჭერი გაუჭრიათ, პერეიასლავის მანუფაქტურის ვეხეს მაღაზიაში ჩასულან და 1000 მანეთი წაუღიათ. მერე იატაკი გაუჭრიათ და ძირს გურკოვის ბეწვეულობის მაღაზიაში ჩასულან. მოუპარავთ 50,000 მანეთის ტყავეული და უკანა კარებით გაპარულან

რედაქტორ-გამომცემელი
**ივ. ი. მჭედლიშვილი.**

---

ნაურთა კლასსი შექმნა დამპყრობელმა გერმანიის ტომის მეომრებმა. გრაფები მარკიზები, ჰერცოგები,—სულ გერმანული სიტყვებია; მათ მიითვისეს მიწები ძალით დაყვეს იგი ნაწილ-ნაწილად; ხანდა-ხან სვეტზე მიკრულ ფირფიტაზე ეწერა: ვისაც მუშაობა გინდათ, მოდით, იმუშავეთ და ამდენი და ამდენი ნაწილი თქვენი ნაშრომისა მე, მიწის პატრონს მომეცით, ამა და ამ პირობებშიო. შიმშილით სულ მიხდილი, განადგურებული ხალხი იმდენი ომებით, ისეთ საშინელ ხოსის დროში, როგორც იყო ხალხთა დიდი მიგრაცია, რასაკვირველია მთლად და სამუდამოდ ხდებოდა თავისი მეომარი ბატონის, მიწის მესაკუთრის ყმა. ამ საყოველთაო ძალმომრეობამ დაუდგა ტახტი ფეოდალიზმს, რომლისაგანაც განთავისუფლებისათვის საუკუნეთა ბრძოლა დასჭირდა მთელი ევროპის ერებს, და აქაც ისევ ის ფაქტია საგულისხმო,—თითქმის არც ერთ ქვეყანაში, შეიძლება გარდა გერმანიისა, არ ყოფილან ბატონი და ყმანი ერთისა და იგივე შთამომავლობის. ხდებოდა ნამდვილი დაპყრობა, როგორც დაპყრობა, ერთი ერისა მეორეს მიერ, და ამაზე აღმოცენდებოდენ ხოლმე ეკონომიური პრივილეგიები, რაიც შემდეგ დიდად განსაზღვრავდენ ხოლმე მთელ სოციალურ წყობილებას დამდგარ საზოგადოებისას. მართალია ომი თავისთავად ვერ შეჰქმნის ვერც განსაზღვრული ტიპის საზოგადოებას, ვერც სოციალური ტრანსფორმაციის ღერძი იქმნება,—დიდ როლს თამაშობს თვით. მეომარია კულტურა, ზნეჩვეულება, სოციალური სული, ეკონომიური მდგომარეობა და სხვა,—მაგრამ ამ უკანასკნელთა განვითარებაც სხვა ხასიათს მიიღებდა აუცილებლად, რომ მათი მატარებელი ხალხები არ დასტაკებოდნენ ხოლმე ერთმანეთს ისტორიის ჟამთა ვითარებაში და არ გადაეწყვიტათ თავიანთი ბედი.[9])

დიახ, ისტორიული მოვლენანი კიდევ უფრო დაუდეგარნი, მსწრაფლ-მოძრავნი არიან, უფრო მრავალფეროვან ძალთა და პირობათაგან არიან გამოწვეულნი, ვიდრე წმინდა სოციოლოგიურნი, და მათი განსაზღვრა მარტო საწარმოო ძალთა შინაგან განვითარებით ყოვლად შეუძლებელია.

ჩვენ მცირე მაგალითებით დავკმაყოფილდით ამ შენიშვნებში. რამდენია კიდევ ისტორიაში მაგალითი სხვა მრავალ ფაქტთა გავლენისა მთელ ისტორიულ პროცესზე!..

საქმე ის არის, რომ ომი, რელიგია, საწარმოო ძალნი,—მიზეზნი არიან, სოციალურ და ისტორიულ პროცესზე მომქმედნი. იგინი არიან **ენერგიის გამოხატულებანი**, და ამ მხრით სულ ერთია, მოქმედებს ეს გამოხატულება ადამიანის ფსიხიკაზედ—როგორც რელიგია, მოქმედებს იგი ადამიანის შენახვის პროცესზე, როგორც სამუშაო ენერგია, თუ იგი არის პირდაპირი მოქმედება, ტლანქი მოქმედება, როგორც ომში და ხარჯული ენერგია,—ყოველ შემთხვევაში იგი გამოიწვევს ამა თუ იმ ტრანსფორმაციას საზოგადოებაში და ამითი რამოდენიმედ განსაზღვრავს მთელ პროცესს სხვა პირობებთან ერთად...

**...ყოველი სოციალური ფენომენი, რომელიც წარმოშობილია ენერგიათა მოშაობით და რომელიც განსაზღვრავს ამა თუ იმ პირობებში პირდაპირ ან არა-პირდაპირ ინდივიდების მოქმედებას, ანუ საზოგადოების მდგომარეობას განსაზღვრულ მომენტში, არის ფაქტორი საზოგადოებათა ევოლიუციის პროცესში..**

Bâton

[9]) იხილე ამის შესანიშნავი დემონსტრაცია A. Vaccaro: La lotta per l'esistenza e suoi effetti nell'Umanita, cap. V.

*) რადგან ამ შემომწირველთა სია დ იკარგა, მისი დაბეჭდვა დაგვიანდა. რედ.

---


# განცხადებანი

**Одоль**

**лучшее для зубовъ.**

**ოდოლი საუკეთესოა კბილებისათვის.**

(2—2) (Метцль и Ко 2539)

## დირექტორი

ტფილისის სამეურნეო სასწავლებლისა

აცხადებს, რომ იმათი **თხოვნების მიღება**, ვისაც სურს მისცეს ბავშვები მოსამზადებელ კლასებში (უმცროს, შუა და უფროსში), აგრეთვე პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში, შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, სასწავლებლის კანცელარიაში 10-დან 1 საათამდე.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7-9 წლისანი. ამათვის არავითარი ეგზამენი არ არის საჭირო.

მისაღები ეგზამენები სხვა კლასებში მოხდება ამ წლის 19, 21, 22 და 23 მაისს. (2—1)

## შემთხვევით

მალიან იაფად

## იყიდება

სხვა და სხვა ფორმის ძეგლები და სასაფლაო ქვები. ჩვეულებრივზე 50% ნაკლებად სახელოსნო ს. რიჩჩისა, მიხაილოვის ქუჩა, სახლი № 127. (10—ხარ

## ქუთაისში

კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კონდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბოსტნის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტი ყველას უფასოდ. (30—ფ.


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.